

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განსხადება: მიიღება ქართულს,

რუსულს, სომხურს და სხვ. ენებშიც

განი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით

სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ცელ

კვრით—5 კაპ., პატარა 4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციას უზღუბა

წიგნებს და შუამოკლოს დასაბეჭდო

გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდო

სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება

ხვალ, პარასკევს, მთაწმინდობის

დღესასწაულის გამო, გაზეთი ვერ

„დროება“

ხელის-მოწერა: მთელისში, რედაქციის

კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრე-ნი: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дროება“.*

გაზეთის შასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივლისიდან გაზეთი წლის დამლევამდინ ღირს—5 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათხანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 29 მაისს. ოსმალეთის მმართველობა აცხადებს, რომ ტყუილი-ლიაო ზოგიერთს გაზეთებში გამოცხადებული ცნობა, ვითომც, სან-სტეფანოს მორიგების შემდეგ, ის რუსეთისათვისაგან შეწყუბებულიყოს. ოსმალეთს არავისთვის არ შეუჩივლია ამ საგნის თაობაზედაო.

ოსმან-ფაშა დანიშნულია სასახლის მარშლად;

სტამბოლი, 29 მაისს. ოსმალეთის მმართველობა აცხადებს, რომ ტყუილიაო ზოგიერთს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც ის შევიწროებული იყოს რუსეთისგან სან-სტეფანოს მორიგების შემდეგ; ოსმალეთს არვისთვის არ შეუჩივლია ამ საგნის თაობაზედაო.

ოსმან-ფაშა დანიშნულია სასახლის მარშლად; ის დარჩება ჯარის უფროსადც. საიდ-ფეხენდა შინაგან-სქავეების მინისტრად დანიშნეს.

მენა, 29 მაისს. „Голосъ“-ს სწერენ: სერბიის მინისტრმა რისტიჩმა რამდენჯერმე ნახა ანდრაში; როგორც ეტყობა რისტიჩმა ვერა გაარიგარა აესტრია-სთან, რადგან ერთობ მოწყენილია.

ამბოზენ, რისტიჩს მოაქვს ბერლინში კონგრესის წარსადგეოდ ისტორიული საბუთი, რომლითაც მტკიცდებაო, რომ სერბიის სამთავროს ეკუთვნის ძველი სერბიის მაზრის და ჰერცოგოვინის ერ-

თი ნაწილი. მაგრამ თვითონ რისტიჩს არა აქვს იმედი, რომ რამე გაარიგოს.

ბოჟო პეტროვიჩი მენილამ ბერლინში წავიდა. მენაში გამოუცხადეს იმას, ნუ ექნება იმედი, რომ ანტივარი ჩერნოვო-რისს შეუერთონ.

ოსმალეთის დანდობილი კაცი ამ დღეებში საიდუმლოთ ზავიდა პარიჟში, ლონდონში და რომში; როგორც ამბობენ, ის ეცდება, რომ ეს სახელმწიფოები ოსმალეთისაკენ მიიზროს.

პეტერბურლი, 29 მაისს. ხელმწიფე იმპერატრიცას ციება აღარ აწუხებს; ღამე უკეთ სძინავს, მაგრამ თან-და-თან სუსტდება.

„Голосъ“-ში დაბეჭდილია ოსმალთს სომხების დელეგატი არხივპისკოპოსი ხორენ-ნარბეი გამოეთხოვა აქაურ სომხებს და ამ დროს სთქვა:

„ამ სამი თვის წინათ მე გულის მღელვარობით წამოველი სტამბოლიდამ. მე მეშინოდა, რომ ვერ შევასრულებდი ღირსეულად ჩემს მონდობილებას.

„ახლა კი, როცა მივიღივარ პეტერბურლიდამ და თქვენ გეტხოვებით, ჩემო ძმანო, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს მიზანს შევასრულებ. მა სანეტარო იმედი ჩანერგა ჩემს გულში ძღვევა-მოსილ-მა ხელმწიფემ, რომელმაც თავის კეთილ-განზრახულებით გადაწყვიტა, რომ თავის-უფლება მიანიჭოს ოსმალეთის დაჩაგრულ ქრისტიანებს. რუსეთის ხელმწიფის თანაგრძნობა ოსმანს ხალხისადმი გვაძლევს ამ იმედს.

„ამის გამო გულმოდგინეთ შეევე-დრეთ უფალსა, რომ სომხების მწყალობელი იმპერატორის აღექსანდრე მეორის სიცოცხლე დღევრძელი იქმნეს.“

ხვალ არხივპისკოპოსი ხორენ-ნარბეი ბერლინში მიდის.

პეტერბურლისპირაშა, 30 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი— 24—50 მან. კაპ.

ამსტერდამი— 124—50 „ „

ჰამბურგი — 208—50 „ „

პარიჟი — 257—50 „ „

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები * პირველი სესხის — 236—50 მეორე სესხის — 231—50

ბანკის ბილეთები: პირველი გამოცემის — 98—65 მეორესი — 95—62 მესამესი — 95—62 მეოთხესი — 95—26

აღმოსავლეთის — 94—75 ოქრო, 1/2 იმპერიალი — 8—14

საქართველო

ღლიური

* * * გუშინწინ, 30 მაისს, ღამით ორი გასაკვირველი ქურდობა მოხდა ჩვენს ქალაქში: ერთი ბალოვინის პროსპექტზე, სადაც ქურდები ასულიყენენ მღი-ვანის მალაზიების სახურავეზე, იქილამ ჩემ-მტერიით მანველოვის მალაზიის ქერი და ჩასულიყენენ მალაზიაში; გამოეწიათ ფუ-ლის ყუთი, სადაც ექვსი თუ შვიდი მანე-თის წვრილი ფული ენახათ და წაეღოთ.

ღანარჩენი საქონელისთვის, თუმცა ბევ-რი ოქრო-ვერცხლის ნივთები იყო მალა-ზიაში, ქურდებს ხელი არ ეხლოთ.

„მე და ჩემმა ღმერთმა, პატროსანი სტუმრებმა გვეწვიესო!“ სთქვა მალაზიის პატრონმა, როდესაც ჩვენ ამ გარემოება-ზე დავეკითხეთ.

მეორე ქურდობაც სწორეთ ამნაირად-ვე არის მოხდენილი: სასახლის ქუჩაზე, შაბუროვის სახლებში, ქურდს გაუხვერ-ტია შალამქარვის ომაღაზიის ქერი და ჩამოსულა იქილამ.

მაგრამ შემდეგ კი სულ სხვა შარის: აქედამ, როგორც თვითონ უფე შალამ-ქაროვმა დაგვარწმუნა, უკანასკნელი თხუთმეტი აფასი მანეთის ოქროსა და ვერცხლის ნივთი და თვალ-მარგალიტი წაუღიათ. ამბობენ, რომ იმდამეხვე ამბო-ღს 600-700 მანეთის ნივთი დაუყრვერ-ნებია ამ ქურდებისთვის.

უტყველია, რომ ორივე ქურდობა ერთისა და იმავე პირებისაგან არის ჩა-დენილი.

* * * ბახედს „სავეკაში“ დაბეჭდილია

განცხადება, რომ ამა წლის 31 დეკემბრისთვის მთავარ-სამმართველოს განკარგულებით გაისყიდება სიღნაღის უფლები მყოფი სახელმწიფო ნავთის წყაროები. სულ სამს ალაგას არის წყაროები: შარაქში, მირზანში და მლდარში. შირაქის ნავთის წყაროები 144 მანეთად არის დაფარებული, მირზანის—362 მანეთად და მლდარის—5მან. და 77 კაპეკად.

* * სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იქ ერთობა გძლიერებულა წითელას ავანტიურობა.

„დროების“ კორექსიონები

მუთაისი, 27 მაის. წრევანდელი ბანკის შესახებ საზოგადო კრებამ, სხვათა შორის, ის ერთი შესამჩნევი საქმეც მოახდინა, რომ აღარ დაჰხედა ჩვენი გუბერნიის უფლებების მოთხოვნის ბანკში უთუოთ ყველას თავთავის დამფასებელი უნდა გვეყენდესო, და აქამდისინ მყოფი შეიდი დამფასებელი ექვსზე შემადგირა. ამ ცვლილების მოხდენას ის საფუძველი ჰქონდა, რომ დამფასებლებმა თხოვნა შეიტანეს—თუ შეიძლება, ჯამაგირი მოგვიმატეთო. ჯამაგირის მომატება საზოგადო კრებამ ვერ გაბედა, სანამ ერთი იმ შეიდი დამფასებელთაგანის ადგილი არ გაუქმდებოდა. ამ წინადადებას აძლევდა ბანკის მმართველობაც საზოგადო კრებას და, როგორც ხვეით მოგახსენეთ, საზოგადო კრებამ გადაწყვიტა გაუქმდეს ერთი დამფასებლის ადგილი და დანარჩენებს რეას-რეასი მანეთი დაენიშნოსთ წელიწადში ამ წლის პირველს იენისილამ.

ძრივ კარგი და პატიოსანი განკარგულება და ძნელი ისაა, რომ წესდების ძალით ექვსი დამფასებელი უნდა

იყოს, თორემ საშიც ძლიერ საკმაო იქნებოდა. ეს სამი დამფასებელი მაშინ უფრო კარგები იქნებოდნენ არჩეულნი და აღრწევდნენ, რადგან ამათ მეტი ჯამაგირი დაენიშნებოდათ ვინემც რეასი და ათასი მანეთი, მაშინ თავის-თავათ მოინახებოდა კარგი და პატიოსანი დამფასებელი.

რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ გეგარ საქმეში კეთილ-სინიდიანი დამფასებელს, ეს ყველასათვის ცხად უნდა იყოს.

მაშასადამე, პირველის იენისილამ უნდა გაუქმდეს ერთი დამფასებლის ადგილი. მინ ჰყავს სახეში ბანკის მმართველობას და მისს ზედამხედველ კომიტეტს ამ შეიდი დამფასებელში, რომლის ადგილიც უნდა გაუქმდეს? მინ უნდა გაანთავისუფლონ იმ „ხმებილამ“, რომელიც დღეს საზოგადოებაში დაბნულია მუთაისის ბანკის დამფასებლებზე?

ამაზე ბევრი ფიქრი არ სჭირია ბანკის მმართველობას და იმის ზედამხედველ კომიტეტს. ჰველა იმათგანის ყურებამდინ მიღწია იმ სასირცხვილო ხმამ, რომ მუთაისის დამფასებელთ კომისიის ერთი წევრთაგანი ქრთამს იღებდაო. ჰველა იმათ, ვის ხელშიც არის კომისიის წევრების ამორჩევა ან გამოცვლა, კარგათ იციან, ვინედაც არის ეს ხმა დაყრილი და ამიტომაც ჩვენ საჭიროთ არ ვრაცხთ ამისთანა „დანდობილს კაცზე“ ხელი მივუთითოთ.

ჩვენი ბანკის დღევანდელი მდგომარეობა, ის დრტინვა, რომელიც ბანკის მმართველობაზე ისმის, თხოულობს, რომ ბანკის მოსამსახურე კაცები გაიწმინდონ ამისთანა კაცებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით იმ ხმებს, რომელთაც დღეს თუ ბეჭდვით და თუ სხვა საშუალებით ჩვენამდინ მოაღწივს, უფრო მეტი მნიშვნელობა მივსცეთ.

მხატვრის ბანკის მმართველობა და ზედამხედველი კომიტეტი რომდინათ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს!

* *

მინიში, 30 მაის. ამ მაისის თვეში სოფლის ჯუგანის ბოლოს ერთი განჯელი ზოკისათვის, რომელსაც სიღნაღში მოჰქონებოდა ფქვილი გასასყიდათ, ღამით მოეპარნათ უღელი კამბეჩი და საცოდავს დარჩენოდა ურემი უძრავთ ერთს ალაგას. სიღნაღში ამ დროს მობრძანდა უ. თფილისის ლუბერნატორი, რომელსაც ზოკმა მიართო თხოვნა და შეატყობინა თავისი მწუხარება; მაშინათვე ლუბერნატორმა უბრძანა ნაჩაღნიკს, ნაჩაღნიკმა მამასახლისს, რომ უთუოთ ჯუგანის საზოგადოებას გარდაახდევინოს.

საზოგადოებამ ძრივლ იუარა და უთხრა მამასახლისს:—შენ ქურდებს ინახავ და ჩვენ ვზლოთო? ამ საგანზე, მოახდინეს ყრილობა და დაადგინეს შემდგომი განჩინება: ეს კამეჩები კი ვზლოთ, მაგრამ რომელიც ქურდობენ, ისინი კი აქედან გადასახლდნენ. ამის შემდეგ ამოწერეს რამდენიმე ქურდი კაცი, რომელთა შორის მოჰყენენ ზოგი მამასახლისის ნათესაები, ზოგი მეგობრები, ზოგი მეზურ-მარილინი და სხვ.

შოველთვის ესეთი განკარგულება რომ იყოს, მაშინ თავის დღეში აღარა დაიკარგებარა.

ერთი ჯუგანური მღვდელი არის განწესებული ხვესურეთში, სადღეგანაც საწყალს წელიწადში ერთხელ ძლივს შეხედება თავის მიწა-წყალში მოსვლა და ისე არ მოვა, რომ იმ საცოდავს ცხენი არ მოჰპარონ. ამას დაუკარგავს ექვსი ცხენი სულ ერთმანეთზე უკეთესები და მეშვიდე ამ მაისში მოჰპარეს.

ფელტონი

ლონდონის მაწანწალები *

(ნათარგმნი მოთხრობა)
(ლასარული)

ნამდვილი თავშესაფარებელი მველზე უკეთესი თავშესაფარებელი სახლი ლონდონში მე მომეჩვენა ის სახლი, რომელიც გაემართათ კოთოლიკეების პატრებს. ეს იყო ისეთი თავშესაფარებელი სახლი, სადაც კაცებს კაცობრიულათ ეპყრობოდნენ, საქმელი კარგი იყო და საკმაოთ ურიგებდნენ სტოლებზე გაწყობილი თევშებში; ოთა-

ხებსაც კი საკმაოთ ათბობდნენ. იქ მოიპოვებოდა გახეთები, ჟურნალები და წიგნები. მამმართველებ არასფერი არ დევზოგათ, რომ იქ მცხოვრებნი ბედნიერნი და მოთავსებულნი გაეხადათ.

ლარიბი ლონდონში.

მეთი არის ლონდონის ღარიბ-მაწანწალების ცხოვრება ზამთარში. ზაფხულობით ეს ხალხი ქალაქს შორდება და დაწანწალობენ სოფლებში; იპარამენ, მათხოვრობენ და დაეთრევიან.

დევმპრიდგან აპრილამდის ლონდონში იმყოფება უკანასკნელი ას-თუთხმეტი ათასი სრულებით უსაქმო, მაწანწალა სული.

იმ პირების რიცხვი კი, რომელთაც უნდათ იმუშაონ და ვერ უშოვნიათ

საქმე, რასაკვირველია, ერთი-ორად უფრო მომატებულია.

მე ვიყავ მდ. ტამიზის ნაპირებზე მყოფ მრავალ ფაბრიკებზე, ქარხნებზე, ნავსადგურებში და სხვა სამუშაო ალაგებში, გემების საკეთებელ ქარხნებში და ყოველგან მე ვპოვე ხალხი, რომელიც მუშაობას თხოულობდნენ; მაგრამ ამთ ვერსად ვერ ვშოვნათ საქმე და ცუდათ იყვნენ გაჩერებულნი.

მაწანწალის ნატურა ცხოვრებაში.

ამ სათაურის წაკითხვისათნავე, უჭველია, თქვენ მკითხავთ:

— რა არის მაწანწალის მიზანი ცხოვრებაში? მე გიპასუხებთ, რომ იმას მხოლოდ

ახლა ამ მღვდელმაც გაიღვიძა ზემო-
თქმულის ზოკის მაგალითით და ლუ-
ბერნატორს არხას აძლევს; თუ ამ საქ-
მეზედაც ისეთი განკარგულება მოახდი-
ნეს, როგორც ზემოთ ვსთქვით და ცხე-
ნების ზღვევინება დაეაღეს სოფლის
საზოგადოებას, მაშინ უთუოთ მოისპო-
ბა ეს შიზიყის საშინელი სენი—ქურდო-
ბა, დამლონებელი ბევრის მგზავრისა და
საწყლის კაცისა.

ეს არის პირველი წამალი შიზიყში
ქურდობის მოსპობისა, სხვა-ფრივ არა
გზით არ შეიძლება ამის მოსპობა.

თ. ავ—ჟ

რუმის აზიები

კონგრესი

ინგლისური გაზეთი „Standard“ გვარ-
წმუნებს, რომ რუსეთის პირობები მს-
მალეთთან მორიგების თაობაზედ არის
შემდეგი: მომავალი ბოლგარიის სამ-
თავროს სამხრეთი მხლოთ ბალკანის
მთებამდინ უნდა იქნეს; მსმალეთს დარ-
ჩება ბათუმი, მაგრამ მაგიერად იმან უნ-
და დაანგრის ლუნის ციხეები; სერ-
ბიის, რუმინიის და ჩერნოგორიის საქმე
კონგრესმა გადაწყვიტოს.

ზაღწევეტილია, რომ კონგრესი 1
(13) ივნისს შეიკრებება ბერლინში. ამ
კონგრესს შეადგენენ შემდეგი სახელ-
მწიფოების წარმომადგენლები: ინგლი-
სის მხრით—ბიკონსფილდი, სალისბიუ-
რი და მდღო როსსელი; საფრანგეთის
მხრით—მადინგტონი და მალიე; გერმან-
იის—ბისმარკი და ბიულოვი; იტალი-
ის—პორტი და ლონე; ავსტრიის—ან-
დრასი და მეიმერლე; მსმალეთის—
სადიუ-ფაშა და სადულლაბ-ბეი და რუ-
სეთის მხრით—შუვლოვი და შბრი.

ზაზ. „Indép. Belge“-ში მოყვანილია

ცხოვრება ჰსურს, მისი ბედნიერება მდ-
გომარეობს მასში, რომ იზოვნოს რაც
მისთვის საცხოვრებელათ საქირა და
ეთიროს იქ, საცაოცნება წაიყვანს. იმის
გასწორება, მორჯულება შეუძლებელია.

მაწანწალები არიან „ნაგავი განათლე-
ბისა“: იმათ არ შეუძლიანთ გაჰყენენ
განათლებასა, ისინი რჩებიან უკან, და
გულის სიმხიარულით უკან ბრუნდებიან
და თითქო ცდილობენ ხელ-მეორედ
შეიქმნან ნახევარ ბარბაროსნი.

მართათ-ერთი საშუალება არის რომ
ისინი ამ გზას მოაცილონ; ეს საშუა-
ლება იმაში მდგომარეობს, რომ საზო-
გადოებამ და მთავრობამ მისცეს მათ
მუშაობა, იმდენი მუშაობა, რომ საქ-
მელი იზოვნონ და პატიოსნათ შეიმო-
სონ.

მსრედ წოდებული ქველ-მოქმედი სახ-
ლები მაშინ შესძლებენ თავიანთი მიზ-

ის ნოტა, რომელიც გერმანიას გაუგზა-
ვიან შეროპის ექვს უმთავრეს სახელ-
მწიფოსათვის ბერლინის კონგრესსა-
ზე დასაპატიჟებლად:

„გერმანიის მმართველობას პატივი
აქვს, ავსტრო-მენგრიის მთავრობის წი-
ნადადებით, მოიწვიოს ყველა ის სახელ-
მწიფოები, რომელთაც 1856 და 1871
ტრაქტატებზე ხელი მოუწერიათ, რათა
მოილაპარაკონ სან-სტეფანოს მორიგე-
ბის პირობების თაობაზედ.“

მართს ნემეცტურს გაზეთში იწერებიან მე-
ნიდამ, რომ ლორდ ბიკონსფილდის კონ-
გრესზე დასწრება აქ ყველას აშინებსო,
ყველა დარწმუნებული არისო, რადგან
ბიკონსფილდი იქნება ინგლისის მხრით
კონგრესზე, ეს კონგრესი ვერაფერს გაა-
რიგებს და ომი აუცილებელად ატყდე-
ბაო.

რუმის უმადე

ზაზეთი „Presse“ ამბობს, რომ ოღონდ
კი ომი ხელ-ახლად არ ატყდეს, და რუ-
სეთი თანახმა არისო, რომ როგორც
ინგლისის ყველა მოთხოვნილება დაა-
კმაყოფილა, ისე დააკმაყოფილოს აგრე-
თვე ავსტრო-მენგრიის მოთხოვნილება-
ცაო.

„Polit. Corresp.“-ის სიტყვით, რუმინ-
იის მინისტრმა პოგალნიჩანუმ ჩააბარა
რუსის ელჩს სტიუარტს ნოტა, რომელ-
შიაც გამოცხადებულია, რომ რუმინიას
ძალიან სამწუხაროდ მიაჩნიაო რუსის
ჯარების ბესარაბიაში ჩაყენება და ამას-
თანავე ერთხელ კიდევ ვიმეორებთო,
რომ თავის ნებით რუმინია არ დაანე-
ბებს რუსეთს რუმინიასაო.

რუმის ქვეყნები

გერმანია

პი როგორ არის აწერილი ნემეცტურ
გაზეთებში გერმანიის იმპერატორის მილ-

ნის ასრულებას, როდესაც ამ მხრით (საქ-
მის, მუშაობის შოვნით) შეეწვივან იმათ,
რომლებიც უზედურებას გაუსაწყლებია
და რომელთათვისაც საქირა მიჰმარ-
თონ მოწყალბეას, რათა სული მოიდ-
გან.

რასაკვირველია, რომ ამ ნაირი ცხოვ-
რება იმ ხალხს თან-და-თან აფუჭებს.
იმათ არასფერი არ აქვთ დასაკარგი; მა-
თი ალაგი კაცობრიობაში კარგათ გან-
საზღრულია; შეუძლებელია მათთვის
წართმევა იმ ალაგისა.

შეჩერდით ქუჩის ერთ კუთხეში, რო-
მელიმე დილას, ქალაქის ერთს უბანში,
საცა ვაჭრობა წარმოებს და შეხედეთ
გამველ-გამოვლელის სახეს: რამდენს
კაცს ნახავთ, რომ ნამდვილათ ბედნი-
ერი და კმაყოფილი სახე ჰქონდესთ? ათას-
ში ცხრას ოთხმოც-და-ცხრამეტს, უეჭვე-
ლია, ნაღველის ბეჭედი ასეთი სახეზე და

ჰელმის დაჭრა; 21 მაისს, ნასადილდის
სამს საათზე იმპერატორი დასვირბდა
„შტერ-დენ-ლინდენის ქუჩაზე“ ამ დროს
ერთი სახლის მეორე ეტაჟიდან ორჯერ
მოისმა თოფის ხმა, იმპერატორი შეკრ-
თა, პირისახეზე მოისეა ხელი; აღმოჩნდა
რომ ის იყო სხვილი და წერილი საფან-
ტით დაჭრილი ლოყაზე, ხელზე და
თავში.

იმპერატორი იმწამსვე ჩასვეს კარე-
ტაში და სასხლეში წაიყვანეს და ექიმები
დაადგენენ. იმავე და მეორე დღეს იმპე-
რატორსამოუღეს ოც-და-ათამდინ საფან-
ტი.

როგორც იწერებიან, იმედი არის
მორჩენისაო.

პაცი, რომელმანც ესროლა იმპერა-
ტორს თოფი, იმწამსვე დაიჭირეს; ის
აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატების მომ-
ხრე, სახელად მდგარდ ნობლინგი,
რომელსაც ბეტინგენის უნივერსიტეტ-
ში შეუსრულებია სწავლა და აქვს ფი-
ლოსოფიისა და მეურნეობის დოქტო-
რის დიპლომი.

ამბობენ, დამნაშავემ სთქვაო, რომ
იმპერატორის მოკვლა მე წილის-ყრით
მხედოა და თუ ვერ შევასრულე ჩემი
განზრახვა, სხვა ამხანაგები მყვანან, რომ
მეღნიც შეეჭველად შეასრულებნო.

ამ გარემოებამ ააღვლეა არათუ მარ-
ტო ბერლინი და გერმანია, არამედ
მთელი ევროპაც და ამიტომ უნდა მო-
ველოდეთ, რომ სოციალისტების წინა-
აღმდეგ სასტიკი კანონების გამოცემას
შეუდგებიან.

ნობლინგი ამ ჟამად ძალიან ავით
არის თურმე; როგორც ტელეგრამამ
გვაცნობა, იმას თავის მოკვლა უნდოდა,
მაგრამ ამ დროს დაუჭერიათ. ტელეგრა-
მამ გვაცნობა აგრეთვე, რომ ამ საქმი-
სათვის რვა კაცი იყო დაჭერილი და
ამათ სამართალმა უკვე გადაუჭრა დასჯა;
ზოგს ხუთი წლით ციხეში დამწყვედევ,
ზოგს ორი წლითა დაზოგს ნაკლები.

რუმალეთი

ალი-სუაფი, რომელმანც ახლანდელი

ეს ნაღველი, ეს მწუხარება და უბედუ-
რება თვალგზივაც აქვს გამოხატული.
პიგერა ერთი მაწანწალა მიდის; შეიძ-
ლება იმას ეტყობოდეს შიმშილი და
და უკიდურესი სიღარიბე ტანთსაცმელ-
ში; მაგრამ ერთი წარბი არ აქვს შემ-
ლილი ნაღველისაგან. ის არასოდეს არ
აჩქარდება, თუ რომ დაგვიანებული
არ არის უფულოთ სადილის საქმელად
წასასვლელათ; მისთვის დროს ფასი არ
აქვს. იმან უკვე აღმოიჩნია საღამოს-
თვის ადგილი, საცა ღამე უნდა გაათი-
ოს და შემდეგ რა მოხდება, თუნდაც
ქვეყანა დაიქცეს, იმას სრულებით ამის
დარდი არა აქვს.

შვევანა იმისთვის არ ზრუნავს, იმას
ქვეყანა ფეხებზედ ჰკიდია...

პ. მკ—შვილი

ხონთქრის ტახტიდამ გადაყენება და ძველი სულთანის მურადის ხელ-ახლად გახონთქრება განიზრახა და რომელმანც ამ მიზნით მოაგროვა სამას კაცამდინ და ჩერაგანის სასახლესთან არეულობა მოახდინა; ეს ალი-სუაფი, როგორც ამბობენ, იქვე სასახლესთან მოჰქლა ერთ-მა ჩერქესმა სასახლის ყარაულმაო. მაგრამ ახლა იწერებიან, რომ ის ცოცხალია და სტამბოლში იმალებაო.

— მითხად-ფაშა ამ ჟამად პარიჟში მისულა ლონდონიდან. ამბობდნენ ხონთქარი აპირებს იმის დაბარებას სტამბოლშიო; მაგრამ ახლა, ალი-სუაფის შეთქმულობის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, რომ იმას აღარ შეუშვებენ სტამბოლში, რადგან ეს ალი-სუაფი მითხად-ფაშის მომხრედ ითვლებოდა.

განცხადებანი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვე „მული, რძალი და მათნიკაში“ სამ-მოკმედებიანი დრამმა ალ. ა. თუთავეისა (5-2)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოკმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებდამ, გადმოკეთებული ზრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ ა. მუსხისაბან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში, მუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ემისი უაშური. (5-2)

მ. გორში არის ხუთ-თვალნიანი განსაძირავებელი სახლი

უფ. ჟურნლისა თავის სამხარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით. ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთავეთან. (3-2)

უფროსის კლასის გიმნაზიულს ჰსურს აძლიოს ბაკმითილბი პროგიმნაზიის საზნებდამ.

მსურველს შეუძლია აღრესი იკითხოს ფოჩტაში, ჩინოვნიკ შაშელთან. (5-3)

ვისაც ჰსურს მოაპოვოს ახალი კეპრი

შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალილივოს, (ძუკიაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კეპრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოაპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

ზარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის აღრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთავეისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქერჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უწყებში, სურამს—ზაქარია არუწყოვთან, მუთაისს—ნიკო მკანეზოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის ხევის—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, მუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

ბატონიშვილი

ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა ბამოცემული ზაქარია ზიგინაძისაგან. ფასი ემისი უაშური

- მუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:
- 1) დედა მან, იზოგებაშილისა, ფასი 45
 - 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩეულოვისა ფასი 20კა.
 - 3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთავეისა, ფასი 30 კა.
 - 4) ვაჟის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კა.
 - 5) მუჟა ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კა.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსულად წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რ. ბ. ზ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ.	გაზანდა	თან კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი ხიტევა თფილისიდან:		თფილისი, 30 მაის.		მრენის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27			მუთაისს, ფოთს	1	შქვ. თეო. ბანჯისა, ფოთ.	1 50	სახლებში.
გორი	11 58	9 43	2 40	1 33	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი.	1 20	ავთმყოფებს მიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდენას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	1 20	კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	7 50	მ რ შ ა ბ ა თ ს: მიუჩარიანც—ხა.
შვირილი	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი.	8 50	რურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფ.
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაჰენტილი ბამბა ფუთი.	10	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვივი შინაგ.
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატელი თუშური ფოთ.	6 50	ავთმყოფობის, რეჩის და ბახტოზის
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოტა		—თარაქამისა ფოთ.	4 20	—ბებიაობის თვალის.
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აზრეშუმი ნუბური სტ.	2	მ თ წ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვივი—ში-
ფოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ძონი, ფუთი.	6 20	ნაგანი ავთმყოფ, ბაკტი—გულის და
ახ.-სენაკი	—		1 18	6 66	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ქანეთს—		ძონის სანთელი ფუთი.	8	ნერვების ავთმყოფ.
სამტრედია	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		სტარინის სათვლი, ფ.	12 80	ს ხ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვივი—ში-
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	ნაგანი ავთმყოფ. შერინსკი—ქალის
შვირილი	1 18	ლაგე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		—ცხვრისა, ლიტრა	99	და მბრტყი—კბილის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო	5 20	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშვივი—შინაგ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფუთი.	7 80	ავთმყოფ. ბახტოვი და მიუჩარიანც.
გორი	7 5	4 8	3 6	4 9	და სამზღვარ გარეთ:		—ფხვნილი ფუთი.	6	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვივი შინაგანი ავთ-
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლო წიგნის	4	შავა გოგალი, გიტე.	70	მუჟობის, რეჩი—თვალის ავთმყოფ.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დ.ბეკელიის (სამი მისხალი)	8	თამბაქო, სამულო ფუთი	8 50	და ბაკტი—გულის და ნერვების.